მე-4 ყოველწლიური კონფერენცია გენდერის კვლევაში

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

6 დეკემბერი, 2012 წ.

გენდერი, ძალადობა და პოლიტიკა

ელიზაბეტ ფრეიზერი

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი,

ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი და ნიუ კოლეჯი, ოქსფორდი

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მომიწვიეს სასაუბროდ, რომელზეც ქალებისა და მამაკაცების ცხოვრებაზე სოციალური ძალადობის პატერნების გავლენას, ძალადობის პატერნების ინსტიტუციონალიზებისა და სისტემატიზირების გზებსა და ისეთ კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხს განვიხილავთ, როგორიც არის ის, თუ როგორ შეუძლიათ ქალებს ხელთ არსებული პოლიტიკური ძალის ორგანიზება და ამ ძალის სტრუქტურის ნგრევისა და სისტემის ტრანსფორმირებისთვის გამოყენება. ამ თვალსაზრისით, მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ როგორ იკვეთება და ურთიერთქმედებს სოციალურ მეცნიერული კვლევა პოლიტიკურ აზრთან და ქმედებასთან.

ქალების წინააღმდეგ ძალადობის, როგორც ასეთის, მნიშვნელოვნების ხაზგასმა არ არის საჭირო ამ ფორუმზე. ის განსაზღვრავს, თუ როგორ ვითარდებიან ბიჭები და გოგონები, არეგულირებს ჩვენი, როგორც სქესის მქონე არსებების — როგორც მამაკაცების და ქალების — ქცევას და ორ სქესს შორის სარგებლისა და ტვირთის არათანაბარ გადანაწილებასთან ურთიერთქმედებს. აქ არ არის საჭირო ამის ხაზგასმა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის საჭიროება არ არის ზოგადად უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში; ასევე, ისეთ სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში, როგორიცაა სამართალი და მედიცინა, სახელმწიფოსა და ქალაქების სამთავრობო სააგენტოებსა და გლობალურ დონეებზე. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფართოდ იქნა მიღებული მოსაზრება, რომ გაუპატიურება ომის იარაღია: პირველ რიგში, ის მართლაც ომის იარაღია და, მეორეც, მხოლოდ „უბრალო“ იარაღი არ არის. ასევე, სხვადასხვა საზოგადოებაში და სახელმწიფოებში ფართოდ იქნა აღიარებული, რომ სექსუალური შევიწროვება სამსახურში სერიოზული რამ არის: პირველ რიგში, რეციპიენტსა და დამნაშავეზე პერვერსიული და ემოციური გავლენის გამო და მეორე, ხუმრობასა და ფლირტს მყარ საფუძველს უქმნის აგრესია და, შესაძლოა, ეს ქცევები აგრესიად და შეურაცხყოფადაც ჩამოყალიბდეს. მეცნიერები, სამართალმცოდნეები, პოლისი მეიქერები, მმართველები და მენეჯერები აღიარებენ, რომ ოჯახური ძალადობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხია. ეს ყველაფერი ზემოქმედებს გაუპატიურებისა და სექსუალური შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის, გაგებაზე; ასევე, კარგად გამოკვეთს, რომ სქესი და გენდერი და სექსუალური ქცევის კონკრეტული სტანდარტების ძალდატანებით მიღება როგორც პოლიტიკურად და სამართლებრივად, ისე კულტურულად და სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენენ.[1]

თუმცა, ამ ყველაფერზე, როგორც დანაშაულზე, სამართალდარღვევაზე სამართლებრივი და პოლიციური რეაქციები არადამაკმაყოფილებელია. ჩვენ შეიძლება გავრისკოთ და ვთქვათ, რომ ეს ასეა განვითარებადი და განვითარებული რეგიონების ყველა ქვეყანაში. გენდერულ ძალაუფლებაზე დაფუძნებულ უსამართლობაზე, ჩაგვრასა და ექსპლუატაციაზე ადმინისტრაციული და სამთავრობო რეაგირება არაერთგვაროვანია. კულტურული ნორმები აღრეულია. ამასთან, არსებობს დამკვიდრებული ინტერესები, რომლებიც უთანასწორობის ჩამოყალიბებული, ნორმატიული პატერნების და ძალადობის არსებული პატერნების გამართლებისკენაც კი ისწრაფვიან.[2]

[1] სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ იხ. United Nations 2006.

[2] United Nations 2006 chIV; Davies (ed) 1994; Garcia-Moreno et al 2006; Vlachova and Beiason (eds) 2005; Watts and Zimmerman 2002.

როგორც მოაზროვნეებმა, მკვლევრებმა და პოლიტიკურმა აქტივისტემბა უნდა ვაღიაროთ, რომ სქესს, გენდერსა და ძალადობას შორის ურთიერთმიმართება თეორიულად კომპლექსური და შეუმჩნეველია. ეს ყველაფერი, ერთი მხრივ, ძალზე მარტივია: ძალადობის ფორმები ბოროტებაა, რომელიც უნდა ამოიძირკვოს და რომლის წინააღმდეგაც უნდა დავირაზმოთ ყველანი. მეორე მხრივ, ყველაფერი ძალზე რთულია. ძალადობის ფორმები — სექსუალური შეურაცხყოფა, გაუპატიურება და მკვლელობა, ოჯახური ძალადობა — რომლის გამოც ფემინისტები დიდი ხანია შეშფოთებულნი არიან, არ შემოიფარგლება მამაკაცებისა და ქალების ურთიერთქმედებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ, როგორც ყოველთვის ხდება, მოძალადეთა დიდი ნაწილი მამაკაცია და დაზარალებულთა დიდი ნაწილი — ქალი.[3] ბიოლოგიურ სქესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების გართულება გენდერის თეორიული ცნებით აღიწერება. ის მოიცავს საზოგადოებებში მიღებული მასკულინობისა და ფემინურობის სხვადასხვა ფორმით სქესის — მამრობითისა და მდედრობითის — გამოხატვის სოციალურ კომპლექსურობასა და ცვალებადობას. ეჭვგარეშეა, რომ ძალაუფლება, ავტორიტეტი და ნორმები განსხვავებულად და მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ მამაკაცებსა და ქალებზე. სქესებს შორის ურთიერთობაში არსებულმა უთანასწორობებმა და უსამართლობამ დასაბამი მისცა ფემინისტურ პოლიტიკას, რომელსაც ქალები წარმართავდნენ მრავალ სოციალურ კონტექსტსა და ისტორიულ პერიოდში. თუმცა, კატეგორიები მამრობითი და მდედრობითი, მამაკაცები და ქალები არაადეკვატურია სოციოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით, როდესაც ჩვენს მიერ განცდილი ფენომენების საფუძვლადმდებარე მექანიზმებისა და სისტემატური მუშაობის გაგებასა და ახსნას ვიწყებთ. ბევრ კონტექსტში ისინი ფენომენების ჩვენეული განცდის არაადეკვატურებიც კი არიან.[4]

უპირველეს ყოვლისა, ვისაუბრებ იმაზე, რომ სოციოლოგიური ანალიზი ფენომენოლოგიურად და ახსნის თვალსაზრისით ადეკვატური თუ უნდა იყოს, ის ყოველთვის საჭიროებს სოციალურ თეორიასა და ფილოსოფიას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერ შევძლებთ სექსუალური უთანასწორობების გენდერული ნორმების გარეშე გაანალიზებას. მეორე, ვისაუბრებ იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებს ეს სოციალური თეორია პოლიტიკასთან და, კერძოდ, ფემინისტურ პოლიტიკასთან. მესამე, თქვენს ყურადღებას პოლიტიკურ ძალაუფლებასთან მიმართებაში პოლიტიკურ ეთიკაზე მივაპყრობ. პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ფიქრისას, სოციალური ნორმების შეცვლის და სოციალური სტრუქტურებისა და ურთიერთობების რეკონფიგურაციის ძალაუფლების ჩათვლით, ცხადია, პოლიტიკურ ძალადობაზე და არაძალადობრივი პოლიტიკის შესაძლებლობასა და ბუნებაზეც უნდა ვიფიქროთ.

გენდერისა და ძალადობის სფეროში წარმოებული კვლევა გამორჩეულად ინფორმაციულია, როდესაც ის მამრობითი და მდედრობითი სქესის, შემოსავალისა და კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და დასაქმების, პოლიტიკური მონაწილეობისა და გავლენის, იურიდიულ უფლებებსა და კულტურულ ნორმებს შორის სოციოლოგიურ ურთიერთობებზე ფოკუსირდება. მამაკაცებსა და ქალებს შორის სარგებლისა და ტვირთის გადანაწილებები სისტემატურად უკავშირდება ძალადობის ფორმებთან სხვადასხვაგვარ ურთიერთობებს. მამაკაცები და ქალები სხვადასხვა მსხვერპლზე ძალადობის სხვადასხვა ფორმას ახორციელებენ. ამისათვის ისინი განსხვავებულ ჯილდოსა და სასჯელს იღებენ. ასე მაგალითად,

[3] Dasgupta 2002; McHugh, Livingstone and Ford 2005; Swan and Snow 2002.

[4] Spelman 1990; Crenshaw 1991.

მამაკაცების მიერ ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა, რომელიც ოჯახში ძალადობის, ოჯახური და სოციალური გაუპატიურებისა და სექსუალური შეურაცხყოფის, ორგანიზებული იძულებითი პროსტიტუციისა და ძალადობის მუქარის ფორმით გამოიხატება და საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სექსუალურ შევიწროვებას, სქესებს შორის ისეთ საკითხებში უთანასწორობასთან კორელირებს, როგორიცაა შემოსავალი და კეთილდღეობა, პოლიტიკური ძალაუფლება და კულტურული ავტორიტეტი. გენდერული ძალადობის ფორმები და სიხშირე სხვა დიდ სოციოლოგიურ სტრუქტურებთანაც — კლასთან და სტატუსთან — არის კორელაციაში. სოციოლოგიური თვალსაზრისით, მკვლევრები ძალადობის სხვადასხვა ფორმის კვანტიფიკაციით და ამ კორელაციების ანალიზით არიან დაინტერესებულნი. მათ მიზეზისა და შედეგის საკითხის განხილვაც აინტერესებთ ცვლილებაზე მიმართული შესაძლო პოლიტიკისა და პოლიტიკური ინტერვენციების შეფასებასთან მიმართებაში.[5]

თუმცა, პოლიტიკური და სოციოლოგიური კვლევის პროგრამის განხორციელება შეუძლებელია რელევანტურ კონტექსტში ძალადობის მნიშვნელობისა (შინაარსის) და მის შესახებ კამათის ზედმიწევნითი და დახვეწილი შესწავლის გარეშე.[6]

როგორ ესმით და აფასებენ მოძალადეები, რეციპიენტები და მათი აუდიტორია დარტყმებსა და სხეულის წინააღმდეგ იარაღების გამოყენებას? ხედავენ თუ არა ძალადობას, როგორც ასეთს, თუ პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებების ტერმინებით ახდენენ მის ინტერპრეტირებას? რა ემოციები ახლავს თან ძალადობის გამოცდილებას და ამ გამოცდილების გახსენებას? როგორ ფასდება ძალადობის აქტები: როგორც კარგი, ცუდი თუ ნეიტრალური? უფრო კონკრეტულად, ეს შინაარსები ნათლად არის წარმოდგენილი თუ ბუნდოვანია? ადამიანები დარწმუნებულნი არიან საკუთარ გამოცდილებაში თუ ამბივალენტურად უყურებენ მას? ამ ყველაფერს კითხვების სახით ვაყალიბებ, ვინაიდან მხოლოდ ერთი რამ არის უტყუარი: ძალადობის მნიშვნელობები ცვალებადია ერთი სიტუაციიდან მეორეში და ხშირად საკამათოა ან ბუნდოვანი. ამ ცვალებადობასა და ბუნდოვანებაზე ხაზგასმა თანხმობაში მოდის იმ ზიანისა და პრაქტიკების უარყოფით გავლენაზე, რომელიც თან სდევს ინტიმური პარტნიორის შეურაცხყოფას, ომიანობის პერიოდში ან სამოქალაქო საზოგადოებაში გაუპატიურებას, ანდა ქორწინების, ბავშვის გაჩენის ან სხვა კონკრეტული საქმიანობების იძულებას.

ცხადია, მნიშვნელობები და ხედვა თავად წარმოადგენენ ნორმებს: გრამატიკის სისწორე, მეტაფორების ან ზედსართავი სახელების მართებულობა, აღწერების სისწორე, — ეს ყველაფერი შეთანხმების საკითხია. ნორმები აღწერენ კიდეც მართებულ ანუ სწორ სამეტყველო ენას ან ქცევას და, ნაწილობრივ, ხსნიან კიდეც მას. ნორმები, რომლებიც სქესის და გენდერის ნიშნით გამორჩეულ ქცევას წარმართავენ, ანუ ნორმები, რომლებიც მოცემულ გარემოში ფემინურობასა და მასკულინობას განსაზღვრავენ, ძალადობის მაჩვენებლების ახსნისას ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ. მრავალი პოლიტიკური ტრადიცია, თუმცა, ფემინიზმი, ალბათ, გამორჩეულად, ერთდროულად ფოკუსირდება ნორმებზე, როგორც აუცილებელ ფაქტორზე სტრუქტურებისა და სისტემური სტაბილურობის ახსნისას და როგორც სოციალური

[5] Davies (ed) 1994; Johnson and Ferraro 2000.

[6] Stanko (ed) 2003.

ტრასფორმაციის კრიტიკულ, პოლიტიკურ მექანიზმზე.[7] ცხადია, რაც ნორმალურად, მართებულად და კარგად ითვლება ნებისმიერ კონკრეტულ კონტექსტში, კეთილდღეობის, პროდუქტული კაპიტალისა და გაცვლადი ვალუტის მატერიალური განაწილებებიდან მომდინარეობს. თუმცა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მატერიალური სიკეთის ხელახლა გადანაწილება არა უშუალოდ ძალის ან კანონმდებლობის გამოყენებით? ნორმები მანამდე უნდა შეიცვალოს, ვიდრე ძალა შეძლებს, რომ ეფექტური იყოს, ან ვიდრე კანონმდებლობის განხორციელება იქნება შესაძლებელი. იმის ეჭვ ქვეშ დაყენება, რაც ნორმალურად ითვლება და ახალი სტანდარტების სასარგებლოდ არგუმენტირება მოქმედების სტრატეგიაც არის ფემინისტურ პოლიტიკაში და რეკონსტრუქციის მართებული მექანიზმიც.[8]

ფემინიზმს ნორმები, თეორიული თვალსაზრისით, რამდენიმე დონეზე აინტერესებს. მამრობითი და მდედრობითი სოციალური სქესობრივი როლების არსებობის პირობებში, როგორ არის განაწილებული პრივილეგიები და ტვირთი მამაკაცებსა და ქალებს შორის? რა ნორმები და სტანდარტები წარმართავენ და ამართლებენ ამ განაწილებებს? ეს პირველი დონეა. მეორე დონეზე გენდერი თავად მოიცავს გრამატიკას. „გენდერში“ რაიმე ნივთს კი არ მოვიაზრებთ, არამედ წესების ერთობლიობას, რომელიც ქცევასა და წესრიგს მართავს. ასე რომ, კრიტიკულად თუ შევხედავთ, მიგვაჩნია, რომ ქცევა არ არის ფიქსირებული, ხოლო წესები — უცვლელი. გრამატიკის სისტემა, როგორც ბუნებრივი სამეტყველო ენა, შეიძლება შეიცვალოს. ფემინიზმი, პოლიტიკა, რომელიც გენდერთან დაკავშირებული ძალადობის ტრანსფორმაციას ესწრაფვის, თავად გენდერის შეცვლისკენ მიილტვის, ანუ ის იმ ნორმების შეცვლას ცდილობს, რომელიც მამაკაცებისა და ქალების ქცევას არეგულირებს.

მესამე, ნორმები და წესები მაინც ყოველთვის იცვლება ნგრევის, ინოვაციის, დიფუზიის, დამკვიდრებისა და აღსრულების თვალსაჩინო და ემპირიულ პროცესებში. მნიშვნელოვანია ნორმებისა და სტანდარტების უაღრესად მიმოქცევითობის გააზრება, რომლებიც ყოველთვის საკამათოა და, მაშასადამე, ბუნდოვანია და არასოდეს არის ბოლომდე გარკვეული.[9] ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება სახელმწიფოს კანონში შეტანილი ნორმები და საზოგადოებაში არსებული ნორმები, რომლითაც ცხოვრობს ეს საზოგადოება და სოციალური ჯგუფები. დიდია განსვლა, ერთი მხრივ, ადამიანების მიერ ნორმების გაგებასა და არტიკულაციას და, მეორე მხრივ, მათ მიერ რეალურად განხორციელებულ ქცევებს შორის. ასევე, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში მიღებული ნორმები. არსებობს განსვლა დომინანტურ კულტურებსა და სუბკულტურებს შორის, სოციალური სტანდარტისადმი კონფორმულებსა და მათგან გადახრილი ქცევით გამორჩეულებს შორის. ნორმების ქმედუნარიანობა

---

[7] *ნორმის* ცნება, რა თქმა უნდა, თავისთავად საკამათოა. ჩემ მიერ გამოყენებული ცნება ნორმალურის სოციალური ექსპრესიისა და აღსრულების დურქჰეიმისეულ ტრადიციაში სათავეს იღებს; ასევე, ნორმების წარმოქმნის ჯეიმს კოლემანისეულ ანგარიშებში. Durkheim 1982; Coleman 1990.

[8] ძალადობის პატერნებსა და სტანდარტებში ნორმებისა და შინაარსების მნიშვნელობის შესახებ იხ. Stanko (ed) 2003 pp.11-2; პოლიტიკური ცვლილების მექანიზმებისთვის იხ. Klein 2012; სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორის პოლიტიკაში ნორმების ცვლილებაზე ფოკუსისათვის იხ. Fabian 2007, Elgstrom 2000.

[9] ნორმების განუსაზღვრელობასა და მიმოქცევითობაზე ეს ხაზგასმა დიდად არის დავალებული უიტგენშტეინის მიერ წესების განუსაზღვრელობაზე ხაზგასმისგან: Wittgenstein 1958 Ss142-155.

ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეთიკის საკითხია. კანონსა და ნორმას, ნორმასა და პრაქტიკას შორის განსვლა სოციალური ანალიზისა და პოლიტიკური ქმედების საკითხია.[10]

ფემინისტური თეორია და პოლიტიკა ყოველთვის კრიტიკულად აანალიზებს ნორმებს, რომლებიც ქცევას წარმართავენ და ძალადობას იყენებენ საზოგადოებებში. ფემინისტური აზრის განვითარებაში მეთვრამეტე საუკუნიდან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ძალადობების კონტინუუმის იდეამ. კონტინუუმი რამდენიმე სფეროს მსჭვალავს. სახელმწიფოები ახორციელებენ, კრძალავენ ან ითმენენ ძალადობის გარკვეულ პატერნებს. საზოგადოება და კულტურა გაჯერებულია ძალადობის პრაქტიკებითა და ნორმებით. ნათესაურ, მეგობრულ და ოჯახურ პიროვნებათშორის და ინტიმურ ურთიერთობებში, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ძალადობის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფორმები.[11] ფემინისტური თეორია განიხილავს მიმართულებებს, რომლებიც ამ ყველაფერს კოჰერენტულ სისტემად ინარჩუნებენ და ნახულობს, რომ გენდერი ყველა მათგანში კომპლექსურად არის წარმოდგენილი.

პირველი, ძალადობის ყველა ამ ფორმას თავისი წვლილი შეაქვს გენდერის სისტემაში და, ამავდროულად, ეყრდნობა მას. ასე მაგალითად, სამხედრო წვრთნა უცვლელად ეფუძნება და იყენებს გენდერის იდეოლოგიებს ჯარისკაცების მოტივირებისა და დისციპლინირებისთვის. როდესაც ქალები მსახურობენ ან ზოგჯერ მამაკაცებთან ერთად არიან გაწვეულნი სამხედრო სამსახურში, ნორმატულ გენდერულ სისტემასთან შეთანხმება რთულდება ხოლმე.[12] თუმცა, მასკულინობის ბაზისური სტრუქტურული გათანაბრება აგრესიასთან და ძალადობასთან, ხოლო ფემინურობის — დასაცავთან, ძალაში რჩება. ასევე, ამბივალენტურია ფემინურობასთან დამოკიდებულება: ეს არის ის, რაც დაცულ უნდა იქნას და, ამასთან, ის, რაც უნდა აძაგონ და აბუჩად აიგდონ. თითოეულ ჯარისკაცს ეუბნებიან, რომ ეს არის ის, რაც იგი (მამაკაცია ის თუ ქალი) არ უნდა იყოს.

მეორე, ფემინისტური ანალიზი აჩვენებს, თუ რამდენად ყველგან არის გავრცელებული ეს ბაზისური სტრუქტურა: იარაღის ფალოსთან, ხოლო მტრის — ქალურობასთან, განაზებულობასთან იდენტიფიკაცია. მესამე, ფემინისტური ანალიზი ამ ბაზისურ სტრუქტურას, ბაზისურ ამბივალენტობას კულტურასა და საზოგადოებაში ძალადობის პატერნებსაც უკავშირებს, რა ფორმასაც არ უნდა იღებდეს ის, იქნება ეს ბარში თუ მის გარეთ ჩხუბი, საფეხბურთო გუნდების გულშემატკივართა კლუბებს შორის ძალადობა, ბაიკერების ან სკინჰედების მსგავსი სუბკულტურები, მდიდრების ცივილიზებული და სპორტული გართობა. მასკულინური და ფემინური ქცევის ასეთი ფორმები უაღრესად ნორმალიზების ტენდენციით ხასიათდება.[13] აქ პოლიციის და სამოქალაქო ავტორიტეტების ძალადობა უნდა ვახსენოთ, სადაც

---

[10] ის, ცხადია, ფილოსოფიური ანალიზის საკითხიც არის. აქ რელევანტურია ჰაბერმასის ნაშრომი ძალაუფლებისა და კანონიერების შესახებ; Habermas 1996.

[11] ვფიქრობ, შეგვიძლია Mary Wollstonecraft-ისეული კულტური სკრიტიკის ამ ჩარჩოში წაკითხვა: Wollstonecraft 1994 esp chs 1, 2, 9, 13; ძალადობის კონტინუუმის იდეის ბოლოდროინდელი ფემინისტური გამოყენების შესახებ იხ. Kelly 1998.

[12] Goldstein 2001.

[13] წყაროში Stanko (ed) 2003 მოცემული ანალიზი შეეხება ძალადობის მნიშვნელობების (შინაარსის) ცვალებადობის, კონტექსტურობისა და კონკრეტულობის ხაზგასმას, ნორმების არასტაბილურობის ხაზგასმასა და იმის აპრიორი გაგებისგან თავის შეკავების მნიშვნელოვნებას, თუ როგორ არის ზალადობა ორგანიზებული და რას წარმოადგენს

საზოგადოება ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება სახელმწიფოს კონსტიტუციურ გარემო პირობებში და სადაც ხშირად პოლიციისა და მათთვის წინააღმდეგობის გამწევთა ქცევები ერთმანეთს ირეკლავს და გარდატეხს. კვლევა უცვლელად აჩვენებს, რომ სამხედრო ძალადობის ანალოგიურად, აქაც ვლინდება გენდერული დისკურსი და პრაქტიკები ძალის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. გენდერული ნორმების დაძაბულობის და სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მათში მცხოვრებ ინდივიდებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობის კონტექსტში განსხვავებულად გაიგება, რაციონალიზირდება და ხორციელდება ძალადობის ყველა არსებული ფორმა, განსაკუთრებით კი — ოჯახური და ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობა.

ამ კონტინუუმებისა და კავშირების იდენტიფიცირება და შესწავლა ძალადობის იმგვარად პოლიტიზირებას ემსახურება, რომ ის არ განხორციელდება, თუ ოჯახური ძალადობა, ომი და სოციალური ძალადობის ფორმები არ გაიგება როგორც განცალკევებული, ცალკე გასაგები და ასახსნელი ფენომენები, რომელთაგან თითოეული საკუთარ პირობებში უნდა იქნას გაგებული და, ალბათ, მოგვარებული. რაც შეეხება ამბივალენტურად გაგებულ და იძულებით თავსმოხვეულ გენდერულ ნორმებს, ისინი ძალადობის ყველა ამ ფორმას ერგებიან და მათ, ფაქტობრივად, გასაგებს ხდიან. აქ პოლიტიკა ის არის, რომ სოციალური ძალადობის დაძლევა, მაგალითად, ქუჩის ბანდებში; ან სახელმწიფოს მხრიდან ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ვთქვათ, ციხეებში; ან ქორწინებაში გაუპატიურების შემთხვევების შემცირების მცდელობა ძნელი წარმოსადგენია მასკულინობისა და ფემინურობის ნორმების და მათ შორის არსებული დაძაბულობებისა და ურთიერთობების გააზრების გარეშე. ეს საზოგადოებრივი სიკეთის — სტატუსის, ავტორიტეტის, უფლების და, ასევე, ისეთი მატერიალური მონაპოვარის, როგორიც შემოსავალია — ხელახალ გადანაწილებას მოიაზრებს მამაკაცებისა და ქალების ჯგუფებს შორის. ცხადია, ასეთი რედისტრიბუცია ბუნებრივად ან შემთხვევითი ისტორიული მოვლენების შედეგად შეიძლება მოხდეს, თუმცა, სადაც ამის საჭიროების იდენტიფიკაცია ხდება; სადაც სახეზეა ჯგუფები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოიგებენ და წააგებენ ამის შედეგად და სადაც როგორც სოციალური და სახელმწიფო ძალაუფლება, ისე ინდივიდუალური ვაჭრობა და გაცვლა იმდენად სტრატეგიულად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ ცვლილებამდე მიიყვანოს, იქ გვაქვს პოლიტიკური სიტუაცია.

ასე რომ, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ძალადობის საკითხების პოლიტიზირებაზე ვსაუბრობთ, თუმცა საჭიროა, რომ უფრო ზოგადი და კლასიკური საკითხი განვიხილოთ: როგორ უკავშირდება ძალადობა პოლიტიკას. სოციოლოგიური ანალიზის ტრადიციის ფარგლებში ძალადობა გაიგება, როგორც პოლიტიკის განსაკუთრებული საშუალება. მაქს ვებერის მიხედვით, პოლიტიკური ძალაუფლება არის ტერიტორიის და მასზე არსებული ადამიანებისა და ყველა რესურსის მართვის ლეგიტიმური

ის. ძალადობის ზოგიერთი კონსტრუქცია, მაგალითად, მშობლების ძალადობა შვილებზე, ექსპლიციტურად ნეიტრალურია გენდერული თვალსაზრისით და, სრულიად შესაძლებელია, რომ ძალადობის ზოგიერთი ფორმის განცდასა და გაგებაში არ არსებობდეს სქესობრივი განსხვავებები ან სხვა კონკრეტული თავისებურებები. ამისათვის იხ. Hazel et al 2003 მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი განსხვავებების ანალიზი არც კი განიხილება კვლევის ამ ანგარიშში. თუმცა, ძალადობის მრავალი კულტურული ფორმა სქესობრივად სპეციფიკურია, ან ნორმატიულად უკავშირდება ერთ ან მეორე ფენდერს, მაგალითისთვის იხ. Cameron and Frazer 1987.

შესაძლებლობა.[14] ასეთი ტერიტორიული სახელმწიფოებრიობის ფორმით წარმოდგენილი პოლიტიკური ძალაუფლება ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენების მონოპოლიზირებას ახდენს (და ამ მონოპოლიზაციის მიღწევით ჯგუფები ან პარტიები პოლიტიკურ ავტორიტეტებად გადაიქცევიან). ეს ძალადობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ძალადობით დამუქრება, საზოგადოებაში სოციალური წესრიგის დასამყარებლადაც გამოიყენება და გარეგანი ძალებისგან სახელმწიფოს დასაცავადაც.

ამ თეორიულ ჩარჩოში ძალადობა და პოლიტიკა მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული. კონსტიტუციური დემოკრატიის პირობებში, სადაც კანონის უზენაესობაა წარმმართველი ძალა და მართვის ძალაუფლების დასაცავად საარჩევნო პროცედურები არსებობს, კონკურენტი პარტიები სწორედაც რომ ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენებაზე მონოპოლიის მოპოვებისა და შენარჩუნების უფლებისთვის იბრძვიან. სხვა სისტემებში თავად ძალადობა და ძალა წარმოადგენენ იმ ცენტრალურ საშუალებებს, რომლითაც პარტიებმა და ფრაქციებმა სახელმწიფოზე, საზოგადოებასა და ტერიტორიაზე დომინირების უზრუნველყოფის მოპოვება შეიძლება სცადონ. აზრისა და მოქმედების რევოლუციური ტრადიციის მიხედვით, სწორედ სახელმწიფოს მიერ ძალის მონოპოლიზაციისა და სოციალური წესრიგის შესანარჩუნებლად სახელმწიფოებრივი ძალადობის გამოყენების შემთხვევაში ამბობენ, რომ ხდება ძალადობრივი მოქმედების ლეგიტიმაცია და გარდაუვალია მისი გამოყენება მათი ძალადობრივი მოქმედებების წინააღმდეგ, ვინც პოლიციასა და სამხედროებს დაუპირისპირდა. როდესაც სოციალური დაჯგუფებები, ვთქვათ, მოქიშპე სოციალური ჯგუფები, უპირისპირდებიან ერთმანეთს საჯარო სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად და, აქედან გამომდინარე, საზოგადობაში დომინირებისთვის, შეიძლება, ისიც ვიფიქროთ, რომ ამას ფიზიკური ძალის გარდაუვლად გამოყენებამდე მივყავართ. ვინაიდან დომინანტობისთვის შეჯიბრი პოლიტიკური ქიშპია, ძალადობა პოლიტიკის საშუალებას/იარაღს წარმოადგენს.

პოლიტიკური ძალაუფლებისა და ძალადობის ეს სტრუქტურა ნამდვილად არ არის უდავო. უფრო ძველ ტრადიციაში მიიჩნევდნენ, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური ძალაუფლება საჯაროა თავისი მანიფესტაციითა და იმით, რომ საზოგადოებაში წარმოდგენილი ყველა მხარის/პოლიტიკური პარტიის შერიგების პროცესის წინაპირობას წარმოადგენს.[15] საბოლოო ჯამში, შერიგება ვერ მიიღწევა ძალადობის გამოყენებით. ძალადობით შეიძლება დომინირებასა და ჩაგვრას მივაღწიოთ. შერიგება ძალადობის გარეშე მოპყრობას საჭიროებს, რაც დებატებს, განხილვას, კომპრომისს, მოლაპარაკებასა და შეთანხმებას მოიაზრებს. ძალადობა ნებისმიერი მოლაპარაკების შედეგს დომინირების მდგომარეობისკენ გადახრის. ეს იმ პოლიტიკის კონცეფციაა, რომელიც ლიბერალიზმის, როგორც აზროვნებისა და ფილოსოფიის ტრადიციის, დომინირების ტენდენციით გამოირჩევა. ბოლო პერიოდში მას იურგენ ჰაბერმასის ნააზრევს უკავშირებენ.[16] (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, შესაძლოა, კრიტიკის სამიზნე გახდეს იმის გამო, რომ

[14] Weber 1978 pp 54-6.

[15] ამ არგუმენტის გავლენიანი ვერსია ეკუთვნის Crick 1992; მისი პოზიცია არისტოტელეს და, ასევე, გვიან რესპუბლიკელთა ტრადიციებს შეიძლება დავუკავშიროთ.

[16] Habermas 1995, და, ასევე, იხ. პასუხი John Rawls 1995. ეს ძალზე შემჭიდროვებული ანგარიში შეეხება ლიბერალიზმის, რესპუბლიკანიზმისა და პოლიტიკის, როგორც საჯარო შერიგების, იდეას შორის როგორც კომპლექსურ განსხვავებებს, ისე გამაერთიანებელ მომენტებს.

ყურადღების გარეშე ტოვებს დომინირებისა და ძალადობის ზემოქმედებისადმი შერიგების ფორმების მგრძნობელობას).

ჰანა არენდტი განსხვავებულ პოზიციაზე დგას. მისთვის პოლიტიკისთვის დამახასიათებელ გამორჩეულ ნიშანს ერთობლივად მოქმედება, საზიარო ძალაუფლების სასურველი სამყაროს შექმნისკენ წარმართვა წარმოადგენს.[17] ეს ერთობლივი მოქმედება კონსტიტუციების შექმნისა და სოციალური წესრიგის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. უფრო კონკრეტულად, ერთობლივად მოქმედება პოლიტიკურ სამყაროს ღიად ინარჩუნებს, სადაც შესაძლებელია სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების დინება. ამ პოზიციის თვალთახედვით, ძალაუფლება ძალადობის ანტითეზას წარმოადგენს.[18] ძალადობა ინსტრუმენტულია და უაღრესად ხანმოკლედ ინსტრუმენტული. ძალადობა სხვების წინააღმდეგ იარაღს იყენებს. ის ყოველთვის დესტრუქციულია. ძალაუფლება არის მოქმედების, ენერგიის გამოყენების მცდელობა. არასწორია დასახული მიზნების მისაღწევად საკუთარ მოქმედებაზე იმის ფიქრი, რომ ის, ასე რომ ვთქვათ, ძალზე ინსტრუმენტულია. ჩვენთვის საცხოვრებლად პოლიტიკური საზოგადოების შექმნის პროცესი მუდამ ღიაა და უსასრულოდ კრეატული და არა — შემუშავებული და მზა. სადაც ძალადობაა, იქ პოლიტიკა სრულდება, იწურება, მარცხდება. ისინი, ვინც ძალადობრივად მოქმედებენ, ანტიპოლიტიკურ ქმედებას სჩადიან.

ამჟამად მე და ჩემი თანაავტორი კიმ ჰატჩინგსი პოლიტიკის თეორიის კანონიკურ ნაშრომებში აღწერილ ძალადობისა და პოლიტიკის ურთიერთობის ანალიზზე ვმუშაობთ. უფრო ზუსტად, ვცდილობთ, გავარკვიოთ, თუ როგორ ამართლებენ პოლიტიკური მოაზროვნეები და აქტივისტები ძალადობისა და არაძალადობის გამოყენებას, იქნება ეს სახელმწიფოს მდგენელი, საზოგადოებებში თუ ორგანიზებული პოლიტიკური აქტორების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული.[19]

გამართლება ხშირად ინსტრუმენტულია და ქმედებების შედეგების კაუზალურ თეორიებს ეფუძნება. ბევრი მოაზროვნე ძალადობას ცუდ მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ ის შეიძლება გაამართლონ იმ სასიკეთო მიზნებით, რომლის მიღწევასაც ემსახურება მისი გამოყენება. ასეთი გამართლების პრობლემა, ცხადია, ის არის, რომ ძალადობის შედეგები, საუკეთესო შემთხვევაში, საკმაოდ ბუნდოვანია. ძალადობის დადებითი ეფექტის უტყუარობაში დაურწმუნებლობამ და ემპირიული კაუზალური მეტაფიზიკისადმი უნდობლობამ ბევრი თეორეტიკოსი იქამდე მიიყვანა, რომ ძალადობა მისი შედეგებისგან დამოუკიდებლად შეეფასებინა. მეოცე საუკუნეში მრავალი ასეთი შემთხვევაა ცნობილი.

კაუზალური მსჯელობიდან ეს გადანაცვლება საინტერესოდ ასახეს პაციფისტებმა და მათ, ვინც არაძალადობრივი ქმედების ერთგულნი დარჩნენ.[20] ზოგჯერ ისინი ძალადობის უარყოფით ეფექტებსაც უსვამენ ხაზს. როგორც მოძალადეებისთვის, ისე — მსხვერპლისთვის ტრავმის სახით მიყენებული ზიანი და მენტალური და ემოციური ზარალი, რომელიც ურთიერთობებით ვრცელდება და თაობიდან თაობას გადაეცემა, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ძალადობრივი ქმედების ნებისმიერ შესაძლო დადებით შედეგს გადაწონის. ძალადობის კულტურისა და კონტექსტის მიერ მიყენებული ზიანის ემპირიულ საბუთებს

[17] Arendt, Hannah, 1958; 1973 fp 1963; Frazer and Hutchings 2008.

[18] Arendt 1969; Frazer forthcoming.

[19] Frazer and Hutchings 2007.

[20] Frazer and Hutchings 2013.

წარმოადგენს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მემკვიდრეობა; ასევე, ოცდამეერთე საუკუნის პერსპექტივები დაზარალებული ბავშვების შთამომავლობის სახით, რომლებიც არაადეკვატურად ან არასაკმარისად აღზარდეს ტრავმირებულმა მოზრდილებმა. მეორე მხრივ, ძველი ევროპელი კოლონისტებისა და იმპერიების პირობებში ჩაგვრასთან და ექსპლუატაციასთან შედარებით, უფრო დიდი ბოროტების წინაშე, როგორც მაჰათმა განდიც კი აღნიშნავდა, როგორიც არის ნაცისტების თარეში, არაძალადობრივი ქმედება, პაციფიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უიმედოდ არაეფექტური იქნებოდა. თუმცა, არაძალადობის ნებისმიერი ასეთი კაუზალური ან შედეგობრივი მარცხი არ ზემოქმედებს მის სიმბოლურ და ესთეტიკურ ხასიათზე. არაძალადობრიობის მომხრეთა თვალსაზრისით, არაძალადობრივი ქმედების განხორციელებისას ინდივიდი აცხადებს/ადასტურებს საკუთარ ღირებულებებს, კარგის/კეთილის, სწორისა და მშვენიერის მნიშვნელობას. მიუხედავად მათი შედეგებისა, ასეთი განცხადებები და დებულებები ფილოსოფიურად მართებულია.

ეს ნაშრომი ისტორიულია და თეორიული, მაგრამ რამდენიმე თვალსაზრისით ამ კონფერენციის მონაწილეთა აზროვნებისთვისაც მნიშვნელოვანია. ეს კონფერენცია და უფრო ფართო პოლიტიკური კონტექსტი, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს, თავისთავად მიგვანიშნებს იმ დიდ პროგრესზე, რომელსაც მიაღწია გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ნაკლოვანების ძირითადმა გაგებამ და ამ ნაკლოვანებებზე რეაქციის ფორმირებამ ადამიანის უფლებადამცველ ინსტიტუტებში. ქალების უფლებების, როგორც ადამიანის უფლებების, და სექსუალური და ოჯახური ძალადობის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან სამართლის საკითხის, ინსტიტუციონალიზება ბრწყინვალე მიღწევაც არის და ბრძოლის ახალ ეტაპზე გადასვლაც. ცხადია, დამკვიდრებული ინტერესები და იდეოლოგიური ოპონენტები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ამ ინსტიტუციონალიზაციას და მის საფუძვლადმდებარე გენდერისა და სამართლის თეორიას. გლობალური რეზოლუციები არ არის საკმარისი სოციალური ცვლილებისთვის. კანონი საერთაშორისო ან სახელმწიფოს დონეზე, შესაძლოა, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი იყოს. ცვლილება კულტურულ, ნორმატულ დონეზე უნდა განხორციელდეს, ცვლილების პროცესი კი პოლიტიკური უნდა იყოს. სოციალურ მეცნიერული კვლევა ერთ-ერთი პლატფორმაა, რომლიდანაც შესაძლებელია ამ პროცესის განხორციელება. კიდევ ერთ ასეთ პლატფორმას სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებში პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენს.

თუმცა, ეს გენდერის, ძალადობისა და პოლიტიკის შესახებ გასაგები და დახვეწილი მოსაზრებების ქონის საჭიროებასთან გვაბრუნებს. ცხადია, რომ გარკვეული დაძაბულობა არსებობს ქალების წინააღმდეგ ძალადობის პოლიტიკასა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ქმედებას შორის.[21] ფემინისტური პოლიტიკა და ფემინისტური თეორია ქალების მიერ ფიზიკური და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნასთან გასამკლავებლად შეიქმნა. ქალთა უფლებების ენა და ქალების წინააღმდეგ ძალადობის კრიტიკა ანალიზზე, დიაგნოზზე და, ასევე, სექსუალური თანასწორობისა და ქალების განთავისუფლების პოლიტიკურ პროექტზე მინიშნებას წარმოადგენს. თუმცა, შესაძლოა, პოლიტიკურად და სტრატეგიულად არამიზანშეწონილი იყოს ქალების მოთხოვნების ადამიანის უფლებების დისკურსში ჩართვა და ოჯახურ ძალადობასა თუ ინტიმურ პარტნიორზე

[21] Berns 2001; Kelly 2005.

ძალადობაზე საუბარი, რაც სექსუალური მოთხოვნების ნეიტრალიზაციის ტოლფასია. გენდერის თეორია, რომელსაც უნდა მივმართოთ იმ შემთხვევაში, თუ ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც დამკვიდრდა და ნარჩუნდება სექსუალური უთანასწორობა, განმუხტავს ამ ორ სტრატეგიას შორის არსებულ დაძაბულობას.

როგორც უამრავი კომენტატორი აღნიშნავს, მათ შორის ნამდვილად არსებობს დაძაბულობა. ქალთა უფლებები და ქალების წინააღმდეგ ძალადობა ის კატეგორიებია, რომლებიც სტატისტიკას ასახავენ. თუმცა, სტატისტიკა და ალბათობები არ წარმოადგენს სრულ რეალობას: ქალების ძალადობაც ადამიანური ცხოვრების ფენომენია.[22] შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქალთა უფლებებისა და ქალების წინააღმდეგ ძალადობის დისკურსს გენდერი პირდაპირ სქესზე დაჰყავს, ათანაბრებს რა ქალურობას ფემინურობასთან სუბორდინაციის თანხლებით. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების დისკურსი და ოჯახური ძალადობა ანეიტრალებს სტატისტიკურ ფაქტებს, ჩვენი ყურადღების მიღმა გააქვს კრიტიკული მატერიალისტის კითხვა „ვინ ვის?“ და სახელმწიფოსა და საზოგადოებაში სქესობრივი დაყოფის სტრუქტურას ფარავს. ორივე — სქესიც და გენდერიც — დეპოლიტიზირებულია. შეიძლება თავგზა აგვებნეს ოჯახური და სექსუალური ძალადობის სიმეტრიის დისკურსებში, რომელიც ეფექტურად ახდენს ძალადობის დეგენდერიზაციას (გენდერის ნიშნის ჩამოშორებას). ანდა, ძალადობრივ ურთიერთობებში და მათ გაგრძელებაში ყველა მხარის ჩართულობაზე ვფოკუსირდეთ, რომელიც მსხვერპლზეც ისევე ანაწილებს პასუხისმგებლობას, როგორც მოძალადეებზე.

ვამტკიცებ, რომ ამ პოლიტიკურ სვლების სათანადო პოლიტიკური რეაქცია მთლიანად და უპირატესადაც კი ვერ დაეყრდნობა რაოდენობრივ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, თუ, ნებისმიერ კონტექსტში, რამდენად შთამბეჭდავია მონაცემები. ვერაფერს მოვიგებთ იმის უარყოფით, რომ ქალები მიდრეკილნი არიან ძალადობისკენ, ან რომ დგას მათი მხრიდან ძალადობის საკითხები. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი სირთულე, რომელიც ქალების ძალადობის ნორმატულ და თეორიულ გაგებას უკავშირდება. ბინარული გენდერული სისტემის ტერმინებით, რომელშიც მამაკაცები აგრესიასთან ასოცირდებიან და ქალები — ზრუნვასთან, ქალების ძალადობა პათოლოგიურად, მზრუნველი დედობრივი პრაქტიკის დარღვევად მიიჩნევა. ალტერნატიულად, გენდერის ჩვენეულ თეორიას შეუძლია ამტკიცოს, რომ მასკულინური და ფემინური ნიშნები სრულყოფილად და ნათლად კი არ არის გადანაწილებული მამაკაცებსა და ქალებს შორის, არამედ მათ საზიარო ნიშნებიც აქვთ. ასეთ ვითარებაში ქალების ძალადობა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ქალების მონაწილეობა მასკულინური იდენტობაში ზუსტად ისევე, როგორც მამაკაცებს შეუძლიათ ფემინურ ანუ დედობრივ პრაქტიკაში მონაწილეობა, როდესაც პატარა ბავშვებზე ზრუნავენ. ცხადია, ამ ორივე თეორიულ მიდგომას თავისი ნაკლული მხარე აქვს. ორივე სოციალურად არის გაზიარებული. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის პრაქტიკაში ქალების მიერ განხორციელებული ძალადობა ხშირად უფრო სასტიკად ისჯება, ვიდრე მამაკაცების მიერ ჩადენილი ანალოგიური დანაშაული.[23] ქალებს, რომლებიც ე. წ. მასკულინურ მახასიათებლებთან ასოცირდებიან, როგორიც არის საზოგადოებრივი ავტორიტეტი, მამაკაცურად მოქცევაში ადანაშაულებენ, ამიტომ მათ მიერ განხორციელებული ძალადობის უმართებულობას მათი გენდერიდან ან სექსუალობიდან გადახრაც

[22] Alison 2009; Chandler et al 2010; McHugh et al 2005

[23] For instance, Smart 1995.

ემატება. ჩვენ გვჭირდება გენდერის ცნება და სქესი-გენდერის სისტემის იდეა, თუ გვინდა გავარკვიოთ, როგორ მოქმედებენ ომში გაუპატიურების ან ქორწინების პირობებში ოჯახური ძალადობის მსგავსი ფენომენები. თუმცა, გენდერის ნებისმიერი ბინარული მოდელი ხელ-ფეხს გვიკრავს კონცეპტუალური და ახსნითი თვალსაზრისით, როდესაც იმ პრაქტიკების გაგებაზე და მათზე რეაგირებაზე მიდგება საქმე, რომლებიც გაურბიან გენდერულ ნორმებს.

ჩემი აზრით, ჩვენ თეორიულ ამოცანას გენდერის ბინარულ მოდელზე უარის თქმა წარმოადგენს. ამის ნაცვლად, თვალი უნდა გავადევნოთ მასკულინობისა და ფემინურობის იმ ფორმებს, რომლებიც შესაძლებელია, მოწონებული და მიღებულია, ნაბრძანებია ან აკრძალულია. მნიშვნელოვანია ყველა ამ ფორმის და მათი ურთიერთობის გაანალიზება, ერთი მხრივ, ბიოლოგიური ქალურობისა და მამაკაცურობის დომინანტურ წყობასთან და, მეორე მხრივ, მასკულინობისა და ფემინურობის დომინანტურ ნორმებთან მიმართებაში.

ჩვენი მოლოდინია, რომ დომინანტური ნორმები არც უდავო იქნება და არც — ერთმნიშვნელოვანი. შესაძლოა, მოველოდეთ, რომ იარსებებს სოციალური კლასი, სტატუსი, ეთნიკური კუთვნილება და ა. შ., რომლის ვარიაციები მართებულ ფემინურ ქცევად ჩაითვლება. ბევრი ადამიანისთვის მამაკაცად ან ქალად ყოფნის მათეული გამოცდილება მათთვის ცნობილ ნორმებთან იქნება შეთანხმებული; ისინი საკუთარ თავს ადგილობრივი კულტურული და მატერიალური კონტექსტის მიერ განსჯილ სუბიექტად იგრძნობენ.

სექსისა და გენდერის ბინარული სქემით დაწყების და, აქედან გამომდინარე, გადახრის თუ შესატყვისობის, დადასტურებისა თუ გაურკვევლობის აღმოჩენის ნაცვლად, უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებები, კულტურები, პოლიტიკა, ფსიქოლოგიური გარემოებები და პირობები ჩვენს წინაშე მდგარი სქესობრივი და გენდერული ვარიანტების თაობაზე მრავალი შეთანხმების მიღწევის საშუალებას იძლევა. ცხადია, კვლევაში ვნახავთ სქესი-გენდერის ბინარული სქემების ანგარიშებსა და მათ რეალიზაციას ყოველდღიურ ინსტიტუტებში, მაგრამ ეს აღმოჩენებია და არა — წინასწარი დაშვებები ან ანალიზისთვის განკუთვნილი აპრიორი თეორიული ჩარჩოები. მოკლედ რომ ვთქვათ, იმის გარკვევას უნდა ვეცადოთ, თუ როგორ იკვეთება ძალადობის ფორმები ფემინურობისა და მასკულინობის ფორმების და სხვა ისეთ სოციალურ კატეგორიების კონტექსტში, როგორიც არის კლასი და სტატუსი. მხოლოდ ასეთი თეორიული კვლევა-ძიებისა და გაზომვის შედეგად შევძლებთ ძალადობის პრაქტიკების მიზეზებსა და შედეგებში გარკვევას.

მოდით, მკაფიოდ ვთქვათ, რომ ეს ძალზე განსხვავდება ემპირისტული სოციალური კვლევის ძველი პროგრამისგან, რომელიც როგორღაც ახერხებდა, რომ სქესობრივი განსხვავებებისა და უთანასწორობის ნორმალიზებაც მოეხდინა, რაციონალიზებაც და იგნორირებაც. გენდერული შესაძლებლობების ასეთი გაგება და განაწილებებისა და პატერნების კრიტიკა დასაწყისში პოლიტიკური ხასიათისაა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს სოციალური თეორია ძალადობას სქესი-გენდერის სისტემაში ჩაშენებულად და ამ სისტემის ძირითად მდგენელად მიიჩნევს. ფემინისტურ ორგანიზაციას, რომელიც დამკვიდრებული ნორმებისა და ქალების წინააღმდეგ ძალადობის სიხშირის საწინააღმდეგოდ და ძალაუფლების ხელახალი გადანაწილებისა და სტრუქტურების რეკონსტრუქციისთვის შეიქმნა, პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებთან შეჯახება უწევს. ეს ნიშნავს იმას, რომ ფემინიზმმა უნდა განიხილოს საკითხი სახელმწიფო ძალაუფლებასა და ძალადობასთან საკუთარი ურთიერთობის შესახებ.

საკმაოდ კარგი ეთიკური მიზეზები არსებობს იმისათვის, რომ სკეპტიკურად შევხედოთ მთავრობების ან სოციალური აქტორების მიერ მოტანილ არგუმენტებს იმის სასარგებლოდ, რომ კარგმა/კეთილმა მიზნებმა ან შედეგებმა შეიძლება გაამართლონ ძალადობა და ის საკმარისად კარგი მიზნის მიღწევის ცუდ, მაგრამ გამართლებად საშუალებად მივიჩნიოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ძალადობის შედეგები წინასწარ არასოდეს არის გარანტირებული და, ნებისმიერ შემთხვევაში, საკმარისად ვიცით ტრავმის თაობათა შორის გადაცემის შესახებ, რათა გვესმოდეს, რომ მისი შედეგები დროსა და სივრცეში დაიქსაქსება. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვფოკუსირდეთ, თუ რისთვის არის ძალადობა, ან რას აკეთებს, ანუ ინსტრუმენტულ მსჯელობაზე, არამედ, იმაზე, თუ, ეთკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, რა არის ძალადობა; კერძოდ, რაზეა საუბარი, როდესაც ადამიანი ძალადობას ახორციელებს, იქნება ეს ბავშვისთვის დარტყმა, პატიმრის გაუპატიურება თუ მიგრანტის ცემა. სხვა სიტყვებით, რაზეა საუბარი როგორც თავად მოძალადეებისთვის და იმ ურთიერთობების ქსელებისთვის, რომელშიც ისინი არიან ჩაბმულნი, ისე — მსხვერპლისთვის. მხოლოდ ასეთი ჭეშმარიტად სოციოლოგიური ფოკუსით შევძლებთ პოლიტიკურ ქმედებამდე მისვლას. მჯერა, რომ ასეთი სოციოლოგიური ფოკუსი, ასეთი კრიტიკული მიდგომა ძალადობის პრაქტიკებისადმი, ეთიკურად ამართლებს პოლიტიკურ პოზიციას, რომელიც არაძალადობას თავისთავად, საწყის მდგომარეობას იღებს და ჩვენს პოლიტიკურ ენერგიას ძალადობის სტრუქტურების დემონტაჟისკენ წარმართავს, სადაც არ უნდა მართავდნენ ისინი მამაკაცებისა და ქალების ცხოვრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Alison, Miranda H. (2009). *Women and Political Violence: Female combatants in ethno-national conflict*. London: Routledge.

Arendt, Hannah. (1958). *The Human Condition*. Chicago: University of Chicago Press.

Arendt, Hannah. (1969). *On Violence*. New York: Harcourt Brace.

Arendt, Hannah. (1973 fp 1963). *On Revolution*. Harmondsworth: Penguin.

Aristotle. 1932. *Politics*. Translated by H. Rackham. Cambridge Ma: Harvard University Press.

Berns, Nancy. (2001). "Degendering the Problem and Gendering the Blame: Political Discourse on Women and Violence." *Gender and Society* 15:262-281.

Cameron, Deborah, & Frazer, Elizabeth. (1987). *The lust to kill : a feminist investigation of sexual murder*. Cambridge: Polity.

Chandler, Robin M, Wang, Lihua, & Fuller, Linda K (Eds.). (2010). *Women, War and Violence: Personal perspectives and global activities*. New York: Palgrave Macmillan.

Coleman, J S. (1990). *Foundations of Social Theory*. Cambridge Ma.: Harvard University Press.

Collins, Randall. 2008. *Violence: a micro-sociological theory*. Princeton: Princeton University Press.

Crenshaw, Kimberle. (1991). Mapping the Margins: Intersectionality, Identity Politics, and Violence against Women of Color. *Stanford Law Review, 43*(6), 1241-1299.

Crick, Bernard R. (1992 1st ed 1962). *In defence of politics* (4th ed.). Harmondsworth: Penguin.

Dasgupta, Shamita Das. (2002). A Framework for Understanding Women's Use of Nonlethal Violence in Intimate Heterosexual Relationships. *Violence Against Women, 8*, 1364-1389.

Davies, Miranda (Ed.). (1994). *Women and Violence: Realities and Responses Worldwide*. London: Zed Books.

Durkheim, Emile. (1982 fp 1895). *The Rules of Sociological Method* (W.D.Halls, Trans. Edited with Introduction by Steven Lukes ed.). Basingstoke: The Macmillan Press Ltd.

Elgstrom, Ole. (2000). Norm negotiations: The construction of new norms regarding gender and development in EU foreign aid policy. *Journal of European Public Policy, 7*(3), 457-476.

Frazer, Elizabeth (forthcoming) 'Power and Violence' in Patrick Hayden (ed) *Hannah Arendt: key concepts* London: Acumen.

Frazer, Elizabeth and Kimberly Hutchings. (2007). "Argument and Rhetoric in the Justification of Political Violence." *European Journal of Political Theory* 6:180-199.

Frazer, Elizabeth, & Hutchings, Kimberly. (2008). On Politics and Violence: Arendt contra Fanon. *Contemporary Political Theory, 7*(1), 90-108.

Frazer, Elizabeth, and Hutchings, Kimberly (2013) 'Gandhi, Fanon, and the Politics-Violence Frontier' paper delivered to conference 'Living in Violent Times' University of Warwick, UK, April 2013.

Fábián, Katalin 2007, Norm Diffusion in Central and Eastern Europe's Domestic Violence Policies, in Katalin Fábián (ed.) *Globalization: Perspectives from Central and Eastern Europe* Oxford: JAI Press Elsevier pp.253-303

Garcia-Mareno, Claudia, Henrica A.F.M Jansen, Mary Ellsberg, Lori Heise, and Charlotte H Watts. 2006. "Prevalence of intimate partner violence: findings from the WHO multi-country study on women's health and domestic violence." *The Lancet*:1260-69.

Goldstein, Joshua S. 2001. *War and Gender*. Cambridge: Cambridge University Press.

Habermas, Jurgen. (1996 fp German 1992). *Between Facts and Norms* (W. Rehg, Trans.). Cambridge: Polity Press

Habermas, Jurgen. (1995). _Reconciliation Through the Public Use of Reason: Remarks on John Rawls' Political Liberalism. *Journal of Philosophy, XC11*(3), 109-131.

Harvey, Penelope and Peter Gow. (eds) 1994. *Sex and Violence: Issues in representation and experience.* London: Routledge.

Hazel, Neal, Ghate, Deborah, Creighton, Susan, Field, Julia, & Finch, Steven. (2003). Violence against Chlldren: thresholds of acceptance for physical punishment in a normative study of parents, children and discipline. . In E. A. Stanko (Ed.), *The Meanings of Violence* (pp. 49-68). London: Routledge.

Kelly, Liz. (1988). *Surviving Sexual Violence*. Cambridge: Polity Press.

Kelly, Liz. (2005) "Inside Outsiders: Mainstreaming Violence Against Women into Human Rights Discourse and Practice." *International Feminist Journal of Politics* 7:471-495.

Krizsan, Andrea and Raluca Popa. 2010. "Europeanisation in Making Policies against Domestic Violence in Central and Eastern Europe." *Social Politics* 17:379-406.

McHugh, Maureen, Nichole A. Livingston, and Amy Ford. 2005. "A postmodern approach to women's use of violence: developing multiple and complex conceptualisations." *Psychology of Women Quarterly* 29:323-336.

Rawls, John. (1995). Political Liberalism: Reply to Habermas. *Journal of Philosophy, 92*(3), 132-180.

Sen, Amartya, 2009, *The Idea of Justice* London: Allen Lane.

Smart, Carol. 1995. *Law Crime and Sexuality*. London: Sage Publications.

Spelman, Elizabeth V. (1990 fp 1988). *Inessential Woman: Problems of exclusion in feminist thought*. London: Women's Press.

Stanko, Elizabeth A. (Ed.). (2003). *The Meanings of Violence*. London: Routledge.

Swan, Suzanne C., & Snow, David L. (2002). A Typology of Women's Use of Violence in Intimate Relationships. *Violence Against Women, 8*(8), 286-319.

United, Nations (2006). *Ending violence against women: From words to action*. New York: United Nations.

Vlachova, Marie and Lea Beiason. 2005. *Women in an Insecure World: Violence against women, facts, figures, analysis* Geneva: Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces.

Watts, Charlotte H and Cathy Zimmermann. 2002. "Violence Against Women: Global Scope and Magnitude " *The Lancet*:1232-37.

Weber, Max. (1978 fp German 1921). *Economy and Society* (Guenther Roth and Claus Wittich eds ed.). Berkeley Ca: University of California Press.

Weber, Max. (1994 fp German 1919). "The Profession and Vocation of Politics." Pp. 309-369 in *Weber Political Writings*, edited by P. Lassman and R. Speirs. Cambridge: Cambridge University Press.

Wittgenstein, Ludwig. (1958 1st edn 1953). *Philosophical Investigations* (G. E. M. Anscombe, Trans. Eds G.E.M.Anscombe, R.Rhees, G. H. von Wright ed.). Oxford: Basil Blackwell.

Wollstonecraft, Mary. (1994 fp 1792). A Vindication of the Rights of Woman. In J. Todd (Ed.), *Mary Wollstonecraft: Political Writings* (pp. 63-284). Oxford: Oxford University Press.